ტრადიცია დაირღვა

ბაქო. ცენტრალური სტადიონი. 8 სექტემბერი.

“ნეფტიანიკი” (ბაქო) – “დინამო” (თბილისი) 3:2 (1:0).

“ნეფტიანიკი”: კრამარენკო, ბოგდანოვი, ბრუხტი, ი. ბაბაევი, გრიაზევი, სემიგლაზოვი, ტუაევი, გაჯიევი, ბანიშევსკი, მარქაროვი, ზეინალოვი (სალახოვი).

“დინამო”: კოტრიკაძე, ჭელიძე, რეხვიაშვილი, ხურცილავა, ცხოვრებოვი, ხართიშვილი, ილიადი (მაისურაძე), დათუნაშვილი, იამანიძე, მეტრეველი, მესხი.

მსაჯი ი. კულიანოვი (მოსკოვი).

დუბლიორები – 2:1 თბილისელთა სასარგებლოდ.

წინასწარ ვიტყვი: მატჩის შედეგი მთლიანად “დინამოს” მცველთა სინდისზეა. სტუმართა დაცვა ამ დღეს ისე იყო მოშლილი, რომ “ნეფტიანიკის” თავდამსხმელები თავისუფლად დანავარდობდნენ საჯარიმო მოედანზე. და თუ მასპინძლებმა მეტოქის კარში მხოლოდ 3 გოლი გაიტანეს, ამაში ბრალი, პირველყოვლისა, ბაქოელთა თავდამსხმელებს მიუძღვით. თავად განსაჯეთ: ტუაევი, მარქაროვი და ბანიშევსკი სულ ცოტა ორ-ორჯერ აღმოჩნდნენ თბილისელთა მეკარის პირისპირ, მაგრამ ვერც ერთი მომენტი ვერ გამოიყენეს. ჩემი აზრით, გატანილ გოლებში კოტრიკაძე ნაკლებადაა დამნაშავე, ვინაიდან დაცვა მეტისმეტად უპასუხისმგებლოდ და უხეიროდ მოქმედებდა.

“ნეფტიანიკმა” ოფიციალურ მატჩებში პირველად დაამარცხა თბილისის “დინამო”. ამ წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის ბანიშევსკის, რომელიც მეტწილად იმარჯვებდა ხურცილავასთან ორთაბრძოლაში. სწორედ ასე გაიტანა ბაქოელმა ცენტრალურმა თავდამსხმელმა პირველი გოლი მატჩის პირველსავე წუთზე.

დინამოელთა ორივე გოლი სილამაზის მხრივ “ხუთიანებს” იმსახურებს, მაგრამ ორივე შემთხვევაში ბურთი გუნდის კოლექტიური მეცადინეობის მეოხებით კი არ გავიდა, არამედ, მესხისა (55-ე წუთზე) და დათუნაშვილის (85-ე წუთზე) მაღალი ინდივიდუალური ოსტატობის შედეგად.

61-ე წუთზე ბანიშევსკიმ კვლავ დააწინაურა თავისი გუნდი – 2:1. მაგრამ “ნეფტიანიკის” გამარჯვებაში ჩვენ მაინც ეჭვი გვეპარებოდა. საქმე ისაა, რომ თბილისელთა ეპიზოდური კონტრშეტევები მუდამ საშიში და მწვავე იყო. და მხოლოდ მარქაროვის გოლმა დაგვარწმუნა, რომ ბაქოელმა ფეხბურთელებმა ბოლოს და ბოლოს “უღალატეს” ტრადიციას და პირველ გამარჯვებას მიაღწიეს თბილისის დინამოელებთან შეხვედრებში.

როცა ანგარიში 3:2 გახდა, მასპინძლები კვლავ კრიტიკულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, მაგრამ აქ მათ მიმართეს დროის გაყვანის ხერხს, რომელმაც უდავოდ გააფუჭა საერთო შთაბეჭდილება. თბილისელები, ფაქტიურად, “ცაიტნოტში” იყვნენ და დროც სულ მალე ამოიწურა.

მ. ბაბაევი (ტელეფონით, ჩვენი კორ.).

“ლელო”, 10 სექტემბერი, 1966 წ.